საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს სოფლის მეურნეობა 2020 წელი და 2020 წლის IV კვარტალი

(წინასწარი შედეგები მეცხოველეობის შესახებ)

16.02.2021

www.geostat.ge

16.02.2021

საქართველოს სოფლის მეურნეობა
2020 წელი და 2020 წლის IV კვარტალი

(წინასწარი მონაცემები მეცხოველეობის შესახებ)

წინასწარი მონაცემებით, 2020 წლის ბოლოსათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 923.1 ათასი სული შეადგინა, რაც წინა წლის მონაცემზე 6.2 პროცენტით მეტია. აქედან ფურისა და ფურკამეჩის ჯამური რაოდენობა 449.2 ათასი სულით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1.7 პროცენტით აღემატება.

ცხვრისა და თხის ჯამური რაოდენობა 11.0 პროცენტით შემცირდა და 793.0 ათასი სული შეადგინა.

ღორის რაოდენობა 155.2 ათასი სული იყო, რაც 0.2 პროცენტით ჩამორჩება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ფრინველის რაოდენობამ 9.9 მლნ. ფრთა შეადგინა, რაც 4.7 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და წვრილფეხა პირუტყვის სულადობა, აგრეთვე, ფრინველის რაოდენობა 2016-2020 წლების ბოლოს არსებული მდგომარეობით.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 2016-2020 წლების ბოლოსათვის

(ათასი სული)



*წინასწარი მონაცემები.

16.02.2021

ცხვრისა და თხის სულადობა 2016-2020 წლების ბოლოსათვის

(ათასი სული)



*წინასწარი მონაცემები.

ღორის სულადობა 2016-2020 წლების ბოლოსათვის

(ათასი სული)



*წინასწარი მონაცემები.

16.02.2021

ფრინველის რაოდენობა 2016-2020 წლების ბოლოსათვის

(ათასი ფრთა)



*წინასწარი მონაცემები.

16.02.2021

წინასწარი მონაცემებით, 2020 წლის IV კვარტალში რძის წარმოებამ 99.7 მლნ. ლიტრი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 5.3 პროცენტით მეტია. 2020 წლის რძის წარმოების წლიური მაჩვენებელი 572.5 მლნ. ლიტრით განისაზღვრა, რაც 1.9 პროცენტით აღემატება 2019 წლის შედეგს.

2020 წლის IV კვარტალში ხორცის წარმოებამ 22.2 ათასი ტონა შეადგინა, რაც 2019 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 5.2 პროცენტით მეტია. 2020 წელს ხორცის წლიურმა წარმოებამ 69.5 ათასი ტონა შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს უტოლდება.

2020 წლის IV კვარტალში კვერცხის წარმოება 162.6 მილიონი ცალი იყო, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 10.3 პროცენტით ნაკლებია. 2020 წელს კვერცხის წლიურმა წარმოებამ 645.3 მილიონი ცალი და 2019 წელთან შედარებით 2.4 პროცენტით ნაკლები შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია 2016-2020 წლებში წარმოებული მეცხოველეობის პროდუქტების დინამიკა.

რძის წარმოება 2016-2020 წლებში

(მლნ. ლიტრი)



*წინასწარი მონაცემები.

16.02.2021

ხორცის წარმოება 2016-2020 წლებში

(ათასი ტონა)



*წინასწარი მონაცემები.

კვერცხის წარმოება 2016-2020 წლებში

(მლნ. ცალი)



*წინასწარი მონაცემები.

16.02.2021

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში დეტალურად არის წარმოდგენილი 2019-2020 წლების მაჩვენებლები ქვეყანაში არსებული პირუტყვისა და ფრინველის სულადობის, ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველის ექსპორტ-იმპორტის, ასევე, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შესახებ, კვარტალურ ჭრილში.

პირუტყვისა და ფრინველის სულადობა 2019-2020 წლებში პერიოდის ბოლოსათვის

(ათასი სული)

	2019				2020*			
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	974.0	977.4	910.2	869.5	973.5	1 003.2	955.0	923.1
მათ შორის ფური და ფურკამეჩი	464.2	464.8	450.6	441.8	461.4	471.2	453.8	449.2
ღორი	178.8	201.7	230.2	155.5	168.3	205.4	237.2	155.2
ცხვარი და თხა	1 193.5	1 120.3	938.7	891.5	1 095.6	984.2	846.1	793.0
ფრინველი (ათასი ფრთა)	8 136.3	10 684.4	9 389.3	9 466.4	10 263.2	12 490.2	11 502.8	9 906.9

*წინასწარი მონაცემები.

ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველის ექსპორტი 2019-2020 წლებში

(ათასი სული)

	2019					2020*				
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	15.4	21.1	33.4	25.7	95.6	16.2	2.4	27.1	29.3	75.0
ღორი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ცხვარი და თხა	1.2	4.4	84.4	64.0	154.0	8.7	6.8	73.2	105.4	194.0
ფრინველი (ათასი ფრთა)	726.8	1 528.6	1 740.3	1 428.7	5 424.3	1 722.6	1 634.8	1 355.1	985.5	5 698.0

*წინასწარი მონაცემები.

16.02.2021

ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველის იმპორტი 2019-2020 წლებში

(ათასი სული)

	2019					2020*				
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	0.7	0.8	0.5	0.8	2.7	0.7	0.2	0.2	0.3	1.4
ღორი	7.3	5.1	10.2	8.6	31.2	7.8	11.2	17.4	19.6	56.0
ცხვარი და თხა	23.7	6.5	1.1	6.0	37.2	4.8	-	-	-	4.8
ფრინველი (ათასი ფრთა)	705.7	492.4	990.0	856.6	3 044.7	1 752.2	1 056.1	1 317.7	1 383.3	5 509.3

*წინასწარი მონაცემები.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება 2019-2020 წლებში

	2019					2020*				
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	წელი
ხორცი (ათასი ტონა)	17.3	15.4	15.7	21.1	69.5	16.2	16.3	14.7	22.2	69.5
რძე (მლნ. ლიტრი)	104.7	197.3	165.1	94.7	561.8	107.0	197.4	168.4	99.7	572.5
კვერცხი (მლნ. ცალი)	138.9	169.9	171.2	181.2	661.2	160.4	167.5	154.8	162.6	645.3

*წინასწარი მონაცემები.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

გამოყენებული პირობითი აღნიშვნა:

- მოვლენა არ არსებობს.

2020 წლის საბოლოო მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2021 წლის 15 ივნისს.

საკონტაქტო პირები:
გიორგი სანაძე, ტელ: (+995 32) 236 72 10 (500), E-mail: gsanadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge